საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №28

ქ.თბილისი **10.12.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნიკოლოზ ალექსიძე - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ანა მაისურაძე - განათლების აღიარების სამმართველოს უფროსი;

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტები:

ანა ლელაძე;
თამარ შენგელია;
თამარ აფრასიძე;
გიორგი მელიქაძე;
ნინო გაგელიძე.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ბეჟან ჯავახია;
გოდერძი ბუჩაშვილი;
თინათინ ჭინჭარაული;
ნინო ქიმერიძე;
ნანა ფრუიძე;
თინათინ კუბლაშვილი;
ნინო ჯაფიაშვილი;
გიორგი გვალია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ვაჟა ვარდიძე;
ზვიად როგავა;
თამარ გვიანიშვილი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გიორგი სოსიაშვილი;
ლევან მიდოდაშვილი;
ციური დურული;
ნუგზარ აბრამიშვილი;
დავით ჩოჩიშვილი.

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

იათამზე მაისურაძე;
მაია ხურცილავა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 26-ე მუხლის 4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის გამო, სხდომას გაუძღვა თავმჯდომარის მოადგილე მაია მიქაშავიძე.

სხდომა დაიწყო 14:20 სთ-ზე. სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სფეროს ხელმძღვანელობისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

1.შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ანა მაისურაძემ. მისი განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილი პროგრამისგან განსხვავებული, შესწორებული პროგრამა, კერძოდ, შეცვლილი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. ამასთან, უშუალოდ ვიზიტის დროს შესწორებები სილაბუსებშიც შევიდა.

ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ზოგიერთ სილაბუსში ერთი მხრივ, კარგად არის წარმოდგენილი ძირითადი, დამატებითი და ნორმატიული მასალის ბალანსი, თუმცა სასურველი იქნება ლიტერატურის კიდევ უფრო განახლება (წლების მიხედვით უახლესად ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 2011 წლის სახელმძღვანელო - დემეტრაშვილი, კობახიძე კონსტიტუციური სამართალი);
- გასაახლებელი და გასამრავალფეროვნებელია ლიტერატურა საზღვარგარეთის კონსტიტუციური სამართლის კურსში;
- ,,ევროკავშირის საფუძვლების სასწავლო კურსის" ლიტერატურის ჩამონათვალში სასურველია დაემატოს ,,ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, (ასოცირების შესახებ შეთანხმება), მით უფრო, რომ კურსის სილაბუსის ცოდნა-გაცნობიერებაში წერია, რომ სტუდენტს გაცნობიერებული ექნება: ,,ევროკავშირს და საქართველოს შორის თანამშრომლობის სამართლებრივი შედეგები", ხოლო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია, რომ სტუდენტი შეძლებს ,,ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სამართლებრივ შეფასებას.". სილაბუსის მე-12 თემა ეძღვნება ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმების დეტალურ განხილვას;
- სასურველია გაძლიერდეს დაწესებულების გარეთ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობები;
- სასურველია უნივერსიტეტმა ჩაატაროს კონკურსი ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებისა და პროგრამის უკეთესად იმპლემენტაციის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობისათვის და განმარტა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო უახლესი ლიტერატურა, მაგრამ სილაბუსებში გარკვეული მათგანი ასახული არ ყოფილა, რაც აუცილებლად გამოსწორდებოდა.ამასთან, იგეგმებოდა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, დაწესებულება ახორციელებდა პრაქტიკული შინაარსის 6 სასწავლო კურსს და დაემატებოდა სასამართლო უნარ-ჩვევებიც. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული უფრო მძლავრად წარმოდგენილი იყო მაგისტრატურის საფეხურზე, მაგრამ საბაკალავრო საფეხურზე ისიც გაძლიერდებოდა, , თუმცა სტუდენტთა ინგლისური ენის ცოდნის დონიდან გამომდინარე, ეს პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებაში პირველად გაიყო კონსტიტუციური სამართალი ნაწილად..

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, კონსტიტუციური სამართლის 2 ნაწილად გაყოფის შემთხვევაში, როგორ შესთავაზებდნენ მას აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დავალიანების მქონე სტუდენტებსაც 2 სემესტრად შესთავაზებდნენ.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, დაწესებულებაში აკადემიური პერსონალის მდგრადობით: წარმოდგენილი პირები მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის იყვნენ ასახულნი თუ სტაბილურად მიიღებდნენ ისინი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას. ასევე, საკონსულტაციო საათები შედიოდა თუ არა პედაგოგის დატვირთვაში და თუ ანაზღაურდებოდა დაწესებულების მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკონსულტაციო საათები შედიოდა პედაგოგის დატვირთვაში და ისინი ანაზღაურდებოდა.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, სილაბუსებში მე-16 კვირას გათვალისწინებული სტუდენტთა ინდივიდუალური წერითი სამუშაოს ასახვის საკითხის შემუშავებაში რამდენად იყო ჩართული პროგრამის განმახორციელბელი აკადემიური გუნდი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენდა და ეს პრაქტიკა დაწესებულებაში დაინერგა კავკასიის უნივერსიტეტის მაგალითის საფუძველზე. მისი თქმით, სტუდენტი სასწავლო კურსს ამთავრებდა ან პრეზენტაციით ან იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის მიღებით, საპროცესო საგნის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარე მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, რამდენად გათვალისწინებული იყო პედაგოგებისა და სტუდენტების ნება, აღნიშნული პრეზენტაციის მე-16 კვირაში ასახვისას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრეზენტაციების მე-16 კვირაში ასახვა, განპირობებული იყო სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგებით, ამასთან, სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებს ათვისებული ექნებოდათ სასწავლო მასალა სრულად, რაც საშუალებას მისცემდათ მათ, საკითხზე საფუძვლიანი პრეზენტაცია მოემზადებინათ. პრეზენტაციის გაკეთება შესაძლებელი იყო როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

სხდომის თავმჯდომარე მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, ფიქრობდა თუ არა დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტის უნივერსიტეტის გარეთ გატანის საკითხზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე არ იგეგმებოდა პრაქტიკული კომპონენტის უნივერსიტეტის გარეთ გატანა, თუმცა მაგისტრატურის საფეხურზე ეს გარდაუვალი იქნებოდა.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, ფუნქციონირებდა თუ არა დაწესებულებაში საგამოცდო ცენტრი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში იყო დამოუკიდებელი საგამოცდო ცენტრი და აკადემიური პერსონალი არ ესწრებოდა გამოცდებს.

სხდომის თავმჯდომარემ მაია მიქაშავიძემ მიმართა ექსპერტს, რომ შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ერთმანეთის მოყოლებით წარმოედგინა.

2.შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	თეოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თეოლოგიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1003
კრედიტების რაოდენობა	240

3.შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	თეოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი თეოლოგიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1003
კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ბეჟან ჯავახიამ. მან ხაზი გაუსვა ამ პროგრამის განხორციელების მნიშვნელობას და დასძინა, რომ თეოლოგიის პროგრამას სახელმწიფო უნივერსიტეტები აღარ ახორციელებენ, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული პროგრამა წარმოდგენილი მაინორის სახით. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ამ პროგრამის განხორციელება მეტწილად სირთულესთან არის დაკავშირებული, რადგანაც შესაძლოა დაპირისპირების საგანი გახდეს, თუმცაღა, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული თეოლოგიის პროგრამა ზოგადი თეოლოგიის აკადემიურ პროგრამას წარმოადგენს და არა რომელიმე რელიგიის მიმდინარეობის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორცილებაში ჩართული იყო მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ზოგიერთ მათგანს იტალიის უნივერსიტეტებში მიღებული ხარისხიც ჰქონდათ.

ექსპერტის თქმით, თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის სავალდებულო საგნების რაოდენობა, რომელიც შეადგენს 170 კრედიტს (33 კრედიტი-არასპეციალობის კომპონენტი: ტრანსფერული კომპეტენციების (მათ შორის, საკომუნიკაციო უნარების) განვითარებაზე მიმართული სასწავლო კურსები და ინგლისური ენის კომპონენტი; 137 კრედიტი - ძირითადი

სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის 132 კრედიტი სასწავლო კურსები და 5 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი) და არჩევითი ნაწილი 70); იქნას თუნდაც ასეთი ფორმა სავალდებულო არჩევითი საგნების;

- სასურველია ზოგიერთ სილაბუსში მეტი ყურადღება დაეთმოს თანამედროვე კვლევის მიღწევებს და ასევე ყველა იმ თემაზე, რომელზეც პროფესორს არ აქვს მითითებული შესაბამისი ლიტერატურა, მომზადდეს საკითხავი მასალები;
- სასურველია ასევე კრედიტების მომატება ძველ ენებში. ლათინური და ბერძნული ენისათვის დათმობილია მხოლოდ 3 კრედიტი, როგორც სავალდებულო საგნებისათვის, ეს არაა საკმარისი, მით უფრო, როდესაც საგანმანათლებლო სკოლებში მათ არ მიუღიათ საფუძველი ამ ენების შესასწავლად.

ექსპერტის თქმით, თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს კვლევითი კომპონენტის ზრდას. შესაძლებელია მისი გაზრდა კვლევითი ნაშრომისათვის დათმობილი კრედიტების მისთვის დამატებითაც, რადგანაც 5-კრედიტიანი კვლევითი ნაშრომი ვერ იქნება სრულყოფილი;

  ასევე, ადგილზე შესწორდა ერთ-ერთი საგნის სილაბუსი სასულიერო და სარაინდო ორდენების ისტორიის შესახებ, რომელიც არ იყო შესაბამისად შესრულებული. პროგრამაში მონაწილე აკადემიურმა პერსონალმა სასურველად ჩათვალა მისი შეცვლა,აკადემიური საბჭოს თანხმობით.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მისი თქმით, დაწესებულება იზიარებდა შემოთავაზებულ რეკომენდაციებს და ნაწილი მათგანი უკვე გაითვალისწინეს კიდეც. სავალდებულო საგნების კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის შეფასებით მათთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა მაღალი იყო, რაც დავის საგანს წარმოადგენდა, რადგანაც პირველი 2 წელი ასეთი საგნები თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე აუცილებლად გასავლელია და მათ სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონოდა, თუმცაღა გამორიცხული არ იყო მათთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის დროთა განმავლობაში მცირედით შემცირება. ლათინური და ბერძნული ენების სწავლებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ამზადებდა ლათინური და ბერძნული ენების სპეციალისტებს, მათი მიზანი იყო, იმ სტუდენტების ხელშეწყობა, რომელთაც სურვილიც ექნებოდათ ამ ენების შესწავლით ცოდნა გაეღრმავებინათ, თუმცა, გაითვალისწინეს რეკომენდაციები და კრედიტების რაოდენობა 5-მდე გაიზარდა. სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობაც გაიზარდა 24 კრედიტამდე. ქართულენოვან რიდერებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეოლოგიის თემატიკაზე სინი არ მოიპოვებოდა ან ძალიან მწირი იყო, დაწესებულება ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდა და მომავალშიც გაგრძელდებოდა ამ კუთხით საქმიანობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი კურსდამთავრებულები, უცხოეთში სწავლის გაგრძელების შემდგომ, კვლავ უბრუნდებიან სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს და ერთვებიან პროგრამის განხორციელებაში. ამჟამად, რამდენიმე მათგანის დიპლომის აღიარების საკითხი მიმდინარეობს, რის შემდეგაც ისინიც ჩაერთვებიან სასწავლო კურსების განხორციელებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების დასაწყისში, მრავალი სირთულე წარმოიშვა, რაც უკავშირდება მეტწილად ლიტერატურისა და პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობას.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველი წელი იყო, რაც ეს პროგრამა ხორციელდებოდა და 6 სტუდენტი ერიცხებოდა დაწესებულებას. იქიდან გამომდინარე, რომ თეოლოგიის დარგი სპეციფიკურ დარგს წარმოადგენდა, 40 სტუდენტის ფარგლებში გეგმავდა დაწესებულება მიღების გამოცხადებას ბაკალავრიატის საფეხურზე. აქვე მან დასძინა, რომ ამ დარგის განვითარებისათვის საჭირო იყო მისი ხელშეწყობა, რადგანაც სტუდენტთა რაოდენობის ნელ-ნელა კლების ტენდენცია აღინიშნებოდა.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ალექსიძემ ხაზი გაუსვა თეოლოგიის პროგრამის განხორციელების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ პროგრამის სილაბუსების გაცნობის შედეგად, კითხვა გაუჩნდა ზოგიერთ საგანთან მიმართებით, თუ რამდენად გამოადგებოდა ისინი პროგრამის კურსდამთავრებულს პრაქტიკაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაგალითად, ბერძნული ენის ცოდნა უპირობოდ გამოადგებოდა კურსდამთავრებულს. ასევე, გარკვეული საგნების დაუფლება ბაკალავრიატის საფეხურზე, შესაძლოა სტუდენტისათვის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობა ყოფილიყო.

ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, შეექმნებოდათ თუ არა საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე სტუდენტებს პრობლემა იმის გამო, რომ ორიგინალი ტექსტებით არ უსწავლიათ. ექსპერტის განმარტებით, მისი რეკომენდაცია ლათინური და ბერძნული ენებისათვის კრედიტების მომატების საკითხზე, სწორედ ამ საკითხს ეხმაურებოდა. მისი თქმით, პარალელური ტექსტების წაკითხვის პრაქტიკის დანერგვა ამ საკითხს მოაგვარებდა. მან აქვე აღნიშნა, რომ ეს ძალიან დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული და მან არ იცოდა, ახორციელებდა თუ არა ვინმე მსგავს პრაქტიკას საქართველოში. ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, რამდენი კრედიტი ენიჭებოდა ებრაული ენის სწავლებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ებრაული ენის სწავლება 5 კრედიტს მოიცავდა.

მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, რამდენად იზრდებოდა კურსდამთავრებულის დასაქმების შანსი დაწესებულების მიერ შემოთავაზებული ტურიზმის დამატებითი სპეციალობის გავლის შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სტუდენტის სურვილზე იყო დამოკიდებული დამატებითი სპეციალობის შესწავლის საკითხი. მისი თქმით, ძალიან კარგი გადაწყვეტილება იყო ამ ორი პროგრამის შერწყმა, რადგანაც ერთიორად იზრდებოდა კურსდამთავრებულის დასაქმების შანსი, რაც განპირობებული იყო როგორც შიდა მომლოცველთა ტურიზმის, ისე შემომსვლელ ტურისტთა სიუხვით.

4.სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სფეროს ხელმძღვანელობისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	020306
კრედიტების რაოდენობა	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისურ ენაში გამოცდა, თუმცა არ არის მითითებული ინგლისური ენის ცოდნის დონე. სასურველია მიეთითოს პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების ოდენობა მითითებულია, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში არ არის განაწილებული თემატიკის მიხედვით. სასურველია, საკონტაქტო საათები დაიშალოს თემატიკის მიხედვით (ინკლუზიური განათლება, განათლების ხარისხის მართვა, განათლების პოლიტიკა).

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა შემოთავაზებულ რეკომენდაციებს. პროგრამის მიღების წინაპირობებში ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ B2 დონის ინგლისური ენის გამოცდის საფუძველზე ხდებოდა მაგისტრანტთა მიღება, თუმცა ეს გარემოება არ იყო მითითებული პროგრამაში, რაც გამოსწორდებოდა. თემატიკის მიხედვით საკონტაქტო საათების დაშლასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სილაბუსებში მითითებული იყო სტუდენტთა დატვირთვა, თუმცა არა თემატურად, რაც ასევე დაექვემდებარა ცვლილებას და ჩასწორდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამა განიხილებოდა მენეჯმენტის პროგრამათა რიგში, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროს მიეკუთვნებოდა. კურსდამთავრებულს ენიჭებოდა განათლების მენეჯემენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ სად გადიოდნენ მაგისტრანტები პროფესიულ პრაქტიკებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეგიონის სკოლებთან მიმდინარეობდა აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა და სწორედ აღნიშნული სკოლები წარმოადგენდა სტუდენტებისთვის პრაქტიკის ობიექტებს.

5.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასწავლებელთა განათლება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	03
კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯოდმარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაცია:

- გამრავლაფეროვნებასა და უახლესი პუბლიკაციებით გამდიდრებას საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი, ბოლო დროინდელი სტატიებითა და კვლევებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა მაგისტრატურის საფეხურზე გაძლიერებულიყო ინგლისური ენის კომპონენტი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა შემოთავაზებულ რეკომენდაციას. მისი თქმით, აუცილებლად გაძლიერდებოდა ინგლისური ენის კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ მასწავლებლის განათლების სამაგისტრო პროგრამა, განსხვავებით განათლების სფეროს ხელმძღვანელობისა და მართვის სამაგისტრო პროგრამისგან, განათლების სფეროს პროგრამათა ნუსხაში იყო გაწერილი და ამ ორ დასახელებულ პროგრამას მხოლოდ რამდენიმე საგანი ჰქონდა საერთო.

6.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თინათინ ჭინჭარაულმა. მისი განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ სილაბუსებში ცვლილებები შეიტანა.

ექსპერტის თქმით, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- მართალია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციები მეტად მკაფიოდ, დეტალურად და ზუსტად ისე იყოს აღწერილი, რომ უფრო დაკონკრეტებულად და ზუსტად განისაზღვროს თითოეული დასახელებული კომპეტენცია;
- პროგრამაში წარმოდგენილია რამდენიმე კურსი, რომლებშიც ერთი და იგივე სახელმძღვანელოა მითითებული ძირითად ლიტერატურად. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სალექციო კურსებში მოცემული სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავი გამოიყენება, რისი მითითების საშუალებასაც არ იძლევა სილაბუსი. შესაბამისად, სასურველია, რომ სილაბუსში სასწავლო კვირების თემატიკის გარდა, ასახული იყოს თითოეულ კვირას დასამუშავებელი მასალის დასახელება, შესაბამისი თავისა და გვერდების მითითებით;
- პროგრამაში წარმოდგენილია ფსიქოლოგიაში კვლევის მეთოდების კურსი, რომელიც სტუდენტებს ფსიქოლოგიაში გამოყენებული კვლევის ძირითადი მეთოდების შესახებ თეორიულ ცოდნას აძლევს; სასურველია, რომ მოცემული კურსის სწავლებისას სტუდენტებს, თეორიული ცოდნის გარდა, კვლევის ცალკეული მეთოდების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაც ჰქონდეთ, რაც თავის მხრივ, შეფასების მეთოდებში უნდა აისახოს;
- საბაკალავრო პროგრამაში შეთავაზებულია პრაქტიკის 10-კრედიტიანი კურსი, რომელიც მოცემული პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. სასურველია, რომ მოცემული კურსის განმავლობაში სტუდენტს შეეძლოს პრაქტიკის ადგილის არჩევა იმ სპეციალიზაციის შესაბამისად, რომელსაც ის სწავლის განმავლობაში სპეციალობის ე.წ. სავალდებულო - არჩევითი კურსების საშუალებით ახორციელებდა და სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულ არჩევანს შეესაბამებოდეს;
- ფსიქოლოგიაში თანამედროვე კვლევებისა და მიმდინარეობების გასაცნობად მნიშვნელოვანია სტუდენტების უცხო ენაში კომპეტენციის გაზრდა უცხო ენაში სპეციალობის შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფით;

- სასურველია, სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა: ჯგუფური ან/და ინდივიდუალური პრეზენტაციები, საშინაო დავალებები, კვლევითი პროექტები და ა.შ., რაც ხელს შეუწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლების შედეგების მიღწევას;
- სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიურ პერსონალს ხელი შეუწყოს ფსიქოლოგიაში თანამედროვე უცხოენოვანი სახელძღვანელოების /ან/და სტატიების თარგმნაში, რაც გაამრავალფეროვნებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებულ სასწავლო მასალას.

თინათინ ჭინჭარაულმა კურსდამთვარებულთა დასაქმების პერსპექტივასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ფსიქოლოგებზე რეგიონის სკოლებსა და ბაღებში დიდი მოთხოვნაა.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა შემოთავაზებულ რეკომენდაციებს და გაითვალისწინებდა მათ.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ალექსიძემ დააფიქსირა აზრი რიგ სილაბუსებში ლიტერატურის არასწორად მითითებასთან დაკავშირებით. თამარ ზარანდიამაც დასძინა, რომ ეს ზოგად პრობლემას წარმოადგენდა და რიგ შემთხვევებში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ აკადემიური პერსონალი არ ყოფილა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულების მიერ კრედიტების განაწილება დატვირთვის შესაბამისი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებდა გამოკითხვებს, რომელთა საფუძველზეც დგინდებოდა, დატვირთვის საკითხი. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ესა თუ ის სასწავლო მასალა არ მოითხოვდა პირობითად 125 საათს, კრედიტები სხვაგვარად განაწილდებოდა ან მასალა გაიზრდებოდა.

7.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ანგლისტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100502
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნინო ქიმერიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

1. პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, სასურველია , სასწავლო გეგმის ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- სასწავლო გეგმას დაემატოს რომალის თეორია/ნარატოლოგია, ვინაიდან ლიტერატურის თეორიის მეტი წილი კურსები განიხილავენ ნარატიული ტექსტის პრობლემებს. სასწავლო კურსი შეავსებს აღნიშნული ტიპის ლიტერატურული ტექსტის თეორიული კვლევის საფუძვლებს.
- სასურველია შესწორდეს ტექნიკური უზუსტობა და დისციპლინისათვის ,,მხატვრული თარგმანი" გაწერილი სავალდებულო ლიტერატურა შეიცვალოს იმავე სასწავლო სილაბუსში წარმოდგენილი დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალით, ვინაიდან სილაბუსის თემატიკა ძირითადად მიჰყვება დამატებითი ლიტერატურის მასალებში განხილულ საკითხებს.
- დისციპლინა ,,ტექსტის ტიპოლოგიური ანალიზი" გულისხმობს ტექსტის ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი პრობლემატიკის განხილვას. ვინაიდან პროგრამა მეორე საფეხურზე განიხილავს დისკურსის ანალიზის პრობლემებს, მიზანშეწონილია იქნება ტექსტის ლინგვისტიკა ისწავლებოდეს პირველი საფეხურის პროგრამაში, რათა მეორე საფეხურის პროგრამისათვის მომზადდეს ტექსტის კვლევების საფუძვლები.
- რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,ლინგვოკულტუროლოგიას", რაც თანამედროვე სასწავლო პროგრამებში ენისა და კულტურის ფორმატით არის ხშირად წარმოდგენილი, მიჩნეულ იქნა, რომ უმჯობესია სასწავლო მასალად შეირჩნენ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან იან და ალაიდა ასმანები, ანსგარდ ნიუნინგი და მსგ. რომელთა კვლევები ამ მიმართულებად მოცემულ პერიოდში ითვლებოდა კლასიკად.
- სასურველი იქნება, თუ ტერმინი ,,ჯგუფში მეცადინეობა" ჩანაცვლდება ,,სასემინარო მეცადინეობით", მით უმეტეს, რომ წინამდებარე სწავლების მეთოდი სწორედ სასემინარო მუშაობას აღწერს.
- მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს სწავლების შედეგების კომპეტენციათა რუკა.
- სასურველი იქნება დეტალურად გაიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ტიპი, რათა გამოცდის მონაწილე აპლიკანტებს დეტალური წარმოდგენა ჰქონდეთ გამოცდის ფორმატზე თეორიულ დისციპლინაში. ეს განმარტებული წინაპირობა საჭიროა იმ აპლიკანტთათვის, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება იმოქმედონ უმაღლესი განათლების კანონის 48ბ პუნქტის შესაბამისად და შეიცვალონ პეციალობა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. ასევე სასურველია, თუ უცხოური ენის კომპეტენცია

განისაზღვრება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების C1 დონით, რაც აუცილებელია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე კვლევითი პროექტის დასასრულებლად.

- სასურველი იქნება დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს შემდეგს: მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამაში მეტი აქცენტები გაკეთდეს სასემინარო მუშაობაზე, რაც მოითხოვს სასემინარო მუშაობის დამოუკიდებელ შეფასებას, რაც უნდა გამოიკვეთოს შეფასებით ნაწილშიც.
- სასურველია პროგრამის აღწერის მე-11 პუნქტში, რომელიც ეხება დასაქმების სფეროების აღწერას, დაზუსტდეს დასაქმების სფეროები, რომლებიც გადმოცემულია ძალიან ზოგადი ფრაზებით და არ იძლევა კონკრეტულ წარმოდგენას მაგისტრის დასაქმების თაობაზე.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი დეტალურად იყო გაწერილი, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ნაშრომის გაფორმების შეფასება დარჩება მხოლოდ რეცენზენტის კომპეტენციაში და არა კომისიის, რომელსაც შეიძლება მიეცეს უფლება კოეფიციენტით წარმოადგინოს დიპლომანტის პრეზენტაციის უნარის შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, რაც არსებითად გააუმჯობესებს პროგრამას. წარმომადგენლის თქმით, გარკვეული პუნქტები უკვე შესრულებული იყო.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყენებდა დაწესებულება ახალ ლიტერატურას, რომლის სილაბუსებში დამატებაც პროგრამას საგრძნობლად საინტერესოსა და მიმზიდველს გახდის, ელექტრონულადაც ხელმისაწვდომი იყო და უსასყიდლოდ შეიძლებოდა მათი მიღება. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ინგლისურენოვან ელექტრონულ ბაზებზე წვდომა.

საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, სამაგისტრო პროგრამის სილაბუსში სასურველი იყო სტატიების პაკეტის ან იმ დამატებითი ლიტერატურის მითითება, რომელსაც ან რომლის მოძიებასაც ურჩევდა სტუდენტებს თავად პედაგოგი, აგრეთვე, ჩადებულიყო მოთხოვნა, ესარგებლათ არსებული ელექტრონული ბაზებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტს ნებისმიერ ლიტერატურაზე მიუწვდებოდა ხელი და დაწესებულების სამკითხველო დარბაზში უზრუნველყოფილი იყო წვდომა ელექტორნულ ბაზებთან.

სხდომის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ დაწესებულება სრულად გაიზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და უნივერსიტეტი აღნიშნული საკითხების ხელმეორედ განხილვისა და მათზე მითითების აუცილებლობის წინაშე აღარ დადგებოდა.

8.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100522
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნანა ფრუიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

-საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლებოდა გახდეს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ზეპირი გამოცდების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება, თუ გამოცდები ჩატარდება წერითი ფორმით ან ზეპირს წერითი კომპეტენციაც დაემატება ; შედეგების გაპროტესტების შემთხვევაში, გაცილებით ადვილი იქნება აპლიკანტის დარწმუნება შეფასების ობიექტურობაში.

- პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, მიზანშეწონილი იქნება განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- დაიხვეწოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება; კერძოდ, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ან არ იყოს მითითებული არჩევითი საგნით განსაზღვრული კომპეტენციები (მაგ: ,,პოეტური ეპოსი აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში", ,,შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ,,ვეფხისტყაოსანში", ,,XX ს. ქართული მწერლობის აქტუალური პრობლემები", ,,გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა"), ან დაკონკრეტდეს, რომ ხსენებულ კომპეტენციას სტუდენტი მიიღებს საკუთარი არჩევანის კვალობაზე.
- პროგრამის სასწავლო გეგმაში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი: კრედიტების საერთო რაოდენობა მითითებული იყო გრაფაში (№4), რომ საგანი ,,XX ს. ლიტერატურის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები" იყო 5-კრედიტიანი, სწავლების წლებისა და სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილების გრაფაში (№13) კი - 10-კრედიტიანი, რაც რეალობას შეესატყვისებოდა.
- ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ პროგრამას გაუმჯობესებს ზოგიერთი საგნის სტატუსის შენაცვლება (მაგ: ,,XX ს. ქართული მწერლობის აქტუალური პრობლემები", რომელიც იყო არჩევითი, იქცეს სავალდებულოდ, ხოლო სავალდებულო ,,მითოსური მოტივები ვაჟა-ფშველას შემოქმედებაში" - არჩევითად; აღნიშნული დაეხმარება სტუდენტს მიიღოს სფეროს ღრმა სისტემური ცოდნა).
- უკეთესი იქნება, თუ გაერთიანდება ,,ქართული ემიგრანტული მწერლობა I" და ,,ქართული ემიგრანტული მწერლობა 2", რადგან ამ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მასალა შესასწავლად არ ითხოვს 5 კრედიტზე მეტს, გამოთავისუფლებული 5 კრედიტი კი შესაძლებელი იქნება გამოყენებულ იქნეს არჩევითი საგნების ბლოკის გასაფართოებლად.

- სასურველი იქნება, თუ დაზუსტდება რამდენიმე სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება (მაგ: ,,მოდერნიზმის ნიშნები XX ს. პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში", ,,ქართული ემიგრანტული მწერლობა I", ,,ქართული ემიგრანტული მწერლობა 2", ,,მიმდინარე ლიტერატურული პროცესი", ,,მითოსური მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში" - ამ საგნების მიზნებისა და ცოდნა-გაცნობიერების ტექსტი პრაქტიკულად იდენტური იყო კურსის შინაარსისა).
- პროგრამის მიხედვით სავალდებულო იყო 80 კრედიტი, 10 - კი არჩევითი, რაც იყო ძალიან მწირი. მიზანშეწონილი იქნება სავალდებულო საგნების კრედიტმოცულობის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არჩევითი საგნების მოცულობა (თუნდაც 20 კრედიტამდე).
- შეფასების სისტემაში დასაზუსტებელია 16.5 პუნქტის შინაარსი.
- მიზანშეწონილი იქნება ზოგადად შეფასების სისტემის დახვეწა:
- სილაბუსების მიხედვით, მეორე შუალედური გამოცდა მოიცავს 5-ქულიან რეფერატს. ექსპერტების მოსაზრებით, უკეთესი იქნება რეფერატი ცალკე აქტივობად გაფორმდეს შეფასების სისტემაში; სასურველი იქნება საგანგებოდ გაიწეროს მისი პარამეტრები (სავალდებულო მოცულობა, შრიფტი, ინტერვალი, ციტირების წესი და ა.შ).
- სასურველი იქნება შეფასების კრიტერიუმები შეირჩეს ცალკეული საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე და თითოეულისათვის ქულათა ადეკვატური რაოდენობა დაწესდეს.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი დაწვრილებით იყო გაწერილი შესაბამის სილაბუსში. უმჯობესი იქნება ნაშრომის გაფორმება შეაფასოს მხოლოდ რეცენზენტმა და არა კომისიამ, რომელსაც შეიძლება მიეცეს უფლება გაორმაგებული ქულებით შეაფასოს დიპლომანტის უნარი, რამდენად ეფექტურად იცავს საკუთარ ნაშრომს.

ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გაზიარება პროგრამას უფრო მოქნილს და დახვეწილს გახდის. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იქნება მიღწეული პროგრამის მიზნები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ გარკვეული რეკომენდაციები უკვე იქნა გათვალისწინებული და დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით; გასწორდა მექანიკური შეცდომა და რეკომენდაცია ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსთან დაკავშირებით, აგრეთვე, აპირებენ არსებული 15 არჩევითი კურსის 20-მდე გაზრდას. ექსპერტების მიერ გაჟღერებული ყველა რეკომენდაცია დაწესებულებისთვის მისაღები იყო და წარმომადგენლის განცხადებით, აუცილებლად შესრულდებოდა.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ალექსიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თხოვნით, ძალიან მოკლედ ჩამოეყალიბებინა მას პროგრამის მიზანი, ვინაიდან თავად მას კარგად არ ესმოდა მოცემული პროგრამის კონცეფცია, რადგან პროგრამის სახელწოდება გახლდათ „ქართული ლიტერატურა" და მასში ძალიან დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას მითოსური მოტივები და პოეტური ეპოსი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად ჩამოყალიბდა უახლესი ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, ხოლო შემდგომ უშუალოდ ქართული ლიტერატურის, რომლის სასწავლო კომპონენტში გათვალისწინებული იყო როგორც მე-19, ასევე მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის კომპონენტები, რაც, დაწესებულების

წარმომადგენლობის აზრით, სტუდენტს საშუალებას მისცემდა სრულფასოვნად გასცნობოდა როგორც ძველ, ასევე თანამედროვე ლიტერატურას და დოქტურანტურაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში საბაზისო ცოდნით უზრუნველყოფდა.

9.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართული სალიტერატურო ენა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100518
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნანა ფრუიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლებოდა გახდეს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ზეპირი გამოცდების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება, თუ გამოცდები ჩატარდება წერითი ფორმით ან ზეპირს წერითი კომპეტენციაც დაემატებოდა; შედეგების გაპროტესტების შემთხვევაში, გაცილებით ადვილი იქნება აპლიკანტის დარწმუნება შეფასების ობიექტურობაში.
- პროგრამის მიხედვით, სავალდებულო იყო 80 კრედიტი, 10 - კი არჩევითი, რაც იყო ძალიან მწირი. მიზანშეწონილი იქნება სავალდებულო საგნების კრედიტმოცულობის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არჩევითი საგნების მოცულობა (თუნდაც 20 კრედიტამდე). ~
- შეფასების სისტემაში დასაზუსტებელია 16.5 პუნქტის შინაარსი.
- მიზანშეწონილი იქნება ზოგადად შეფასების სისტემის დახვეწა:
- სილაბუსების მიხედვით, მეორე შუალედური გამოცდა მოიცავს 5-ქულიან რეფერატს. ექსპერტების მოსაზრებით, უკეთესი იქნება რეფერატი ცალკე აქტივობად გაფორმდეს შეფასების სისტემაში; სასურველი იქნება საგანგებოდ გაიწეროს მისი პარამეტრები (სავალდებულო მოცულობა, შრიფტი, ინტერვალი, ციტირების წესი და ა.შ).
- სასურველი იქნება შეფასების კრიტერიუმები შეირჩეს ცალკეული საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე და თითოეულისათვის დაწესდეს ქულათა ადეკვატური რაოდენობა.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი დაწვრილებით იყო გაწერილი შესაბამის სილაბუსში. უმჯობესი იქნება ნაშრომის გაფორმება შეაფასოს მხოლოდ რეცენზენტმა და არა კომისიამ, რომელსაც შეიძლება მიეცეს უფლება გაორმაგებული ქულებით შეაფასოს დიპლომანტის უნარი, რამდენად ეფექტურად იცავს საკუთარ ნაშრომს.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ჯგუფის შენიშვნები ეხება უფრო ტექნიკურ მხარეს, ვიდრე შინაარსობრივს. გორის უნივერსიტეტი გახლდათ ტრადიციული უნივერსიტეტი,

რომელსაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება აღნიშნული კურსების განხორციელებისა და, ექსპერტის ვარაუდით, აღნიშნული პროგრამა აუცილებლად მიაღწევს შედეგს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისაღები იყო ყველა ის რეკომენდაცია, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აისახა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად ხორციელდებოდა პროგრამაში თანამედროვე კვლევის ინტეგრირება და რა რესურსს ფლობდა დაწესებულება ასეთი კვლევის წასახალისებლად. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ელექტრონული რესურსიც, აღნიშნულ პროგრამაზე მოწვეული ჰყავთ საუკეთესო კადრები და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პროგრამა თანამედროვე კვლევებში იყოს ჩართული. თუმცა, წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან ქართული ენა ენათა ცალკე ოჯახს წარმოადგენს, რომელსაც არ აქვს საერთო ევროპულ ენებთან, რთულდება პროგრამაში საერთაშორისო კვლევების ინტეგრირება, რაც ასევე დაკავშირებულიადიდ ფინანსებთან და სახელმწიფო მხარდაჭერასთან.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორი იყო პრაქტიკა, სტუდენტების აქტიურობის მაჩვენებელი და მონაწილეობდნენ თუ არა სტუდენტები კონფერენციებში. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კონფერენციების მასალები და დადასტურდა, რომ ამ კუთხით სტუდენტების აქტივობა ნამდვილად აშკარა იყო.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია, სტუდენტთა გამოკითხვების საკითხითა და დასაქმების მაჩვენებლით დაინტერესდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართული ფილოლოგიის კურსდამთავრებულთათვის დასაქმება არ უნდა იყოს პრობლემა, ვინაიდან ქართული ენის მასწავლებელი ყოველთვის საჭიროა.

10.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100401
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თინათინ კუბლაშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამის მიზნებში ეწერა: ,,პროგრამა ორიენტირებულია მისცეს მაგისტრანტს საქართველოს ისტორიის უახლესი და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა", ასევე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში ეწერა: ,,კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით". გარდა ამისა, დასკვნის უნარში ეწერა: ,,საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება", ყოველივე ზემოხსენებულის უფრო მარტივად მიღწევის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასურველი იქნება სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ,,კვლევის მეთოდოლოგიის" სასწავლო კურსი.
- სასურველი იქნება პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტს პრაქტიკა მუზეუმში, არქივში, ნაკრძალში და ა.შ.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი დაწვრილებით იყო გაწერილი შესაბამის სილაბუსში, უმჯობესი იქნება ნაშრომის გაფორმება შეაფასოს მხოლოდ რეცენზენტმა და არა კომისიამ, რომელსაც შეიძლება მიეცეს უფლება, გაორმაგებული ქულით შეეფასოს დიპლომანტის უნარი, რამდენად ეფექტურად იცავს საკუთარ ნაშრომს (პრეზენტაციის უნარი).
- სასურველი იქნება გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა" შეტანილ იყოს ასევე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების მატრიცასა და სწავლის შედეგების რუკაში.
- სასურველი იქნება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდაში მითითებული იყოს ინგლისური ენის დონე.
- სასურველი იქნება სასწავლო კურსების სილაბუსების გამდიდრება უახლესი სტატიებით, სამეცნიერო ნაშრომებითა და შესაბამისი საინფორმაციო სახის ვებ-გვერდით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება და იზიარებს ყველა რეკომენდაციას.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, როგორ ებმოდა ბაკალავრიატის კონცეფციას მაგისტრატურის საფეხური და რა განსხვავება არსებობდა მათ შორის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისტორიის აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობდა ცნობილი და გამოცდილი ისტორიკოსების გუნდი, პროგრამა ხორციელდება საკმაოდ წარმატებულად. სტუდენტები ასრულებენ ინტეგრირებულ კვლევას სამაგისტრო ნაშრომის სახით, მუდმივად მიმდინარეობს კონფერენციები ისტორიულ თემატიკაზე და თითქმის ყველა ცნობილი ისტორიკოსი საქართველოს მასშტაბით თავს იყრის დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე.

17:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

11.სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნინო ჯაფიაშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სამაგისტრო პროგრამას ჯერ არ ჰყავდა კურსდამთავრებულები, ასე რომ სასურველი იქნება ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს პირველი გამოშვების შემდეგ ხელახლა შეეფასებინათ პროგრამის მიღწევები, სუსტი მხარეები და მოქნილი ყოფილიყო პროგრამის სტრუქტურისა და ამოცანების გადახედვის პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროგრამის იმ კომპონენტების გაძლიერება, რომლებიც სტუდენტებს კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დაუფლებაში დაეხმარება. პროგრამის ცალკეული კურსები ნაწილობრივ მოიცავს აღნიშნულ თემატიკას, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციაა, საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მიზნით, სავალდებულო საგნებს დაემატოს კურსი, რომელიც სტუდენტებს ასწავლის კვლევის მიზნის ჩამოყალიბებასა და კვლევის დაგეგმვას, ასევე რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის თითქმის ყველა კურსის შეფასების სისტემა იდენტურია - კომპეტენციებისა და ცოდნის შემფასებელი ტესტები ზეპირი გამოკითხვის გზით მოწმდება. სასურველი იქნება შეფასების სისტემის ხელახალი გააზრება-შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გამრავალფეროვნება, მათი მორგება ცალკეული კურსების სპეციფიკურ ამოცანებსა და მიზნებზე.
- სასურველი იქნება სასწავლო ტელე-რადიო სტუდიის მოწყობის (უნივერსიტეტს მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა) შემდეგ პროგრამა პრაქტიკული, არჩევითი კურსების დამატებით გამდიდრდეს. თანამედროვე მედია-პროდუქტების (მულტიმედიური, ინტერნეტ-

მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტები) შექმნის ცოდნა და უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობას გაზრდის.

- უნივერსიტეტის განსაკუთრებული ადგილმდებარეობის (კონფლიქტის ზონა), აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სპეციფიკური პირადი გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით ექსპერტის რეკომენდაციაა, რომ უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა გახდეს მეტად ორიენტირებული კონფლიქტების კვლევაზე, შესწავლასა და გაშუქებაზე. ამ მიმართულების გაძლიერება გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას უნიკალურ სპეციფიკას შესძენს, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც უპირატესობა კონკურენტებთან. პროგრამა შეიძლება განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდეს არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. ასევე შესაძლებელია მოძიებულ იქნეს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო დამატებითი/ალტერნატიული დაფინანსების წყაროები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია მისაღები გახლდათ და მათი გათვალისწინება ეტაპობრივად მოხდება. გარკვეული საკითხები გადაწყდება დაუყოვნებლივ, აკადემიურ პერსონალთან ერთად - სამუშაო ჯგუფთან ერთად. რეკომენდაციების შესრულებაზე მსჯელობა უკვე მიმდინარეობს - ხოლო გარკვეული რეკომენდაციები შესრულებული იქნება მეორე სემესტრიდან.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა აღნიშნული პროგრამა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო შედარებით ახალი პროგრამა - მიმდინარეობდა პირველი სემესტრი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ფიქრობდა დაწესებულება კურსდამთავრებულთა დასაქმებას და თუ კეთდებოდა ამ კუთხით რაიმე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების კუთხით მიმდინარეობს მუშაობა და იგეგმება თანამშრომლობა შიდა ქართლის მაუწყებელთან, გამომცემლობებთან და ა.შ. მომავალში დასაქმების პროექტი აუცილებლად დაიხვეწება და, პირველ რიგში, გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა ინტერესები.ექსპერტმა დასძინა, რომ სასწავლო კურსის პრაქტიკული კომპონენტით გამდიდრების შესახებ რეკომენდაცია სწორედ დასაქმების მოთხოვნის მიზეზით გაიცა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თეორიის თვალსაზრისთ, პროგრამის სამი სილაბუსის გაცნობის შემდეგ, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ მათი შინაარსი ფარავდა ერთმანეთს. კერძოდ, ტელე-რადიო მაუწყებლობა, ტელე-რადიო მაუწყებლობის თეორია და პრაქტიკა და ტელე-რადიო მაუწყებლობა თეორიულ ჭრილში. პროგრამის პრაქტიკული ელემენტით გამდიდრებისთვის, საჭირო იქნება პრაქტიკული კურსებისათვის კრედიტების გამოთავისუფლება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი სტუდენტები პრაქტიკას ადგილობრივ ტელე და რადიო მაუწყებელში გადიან და აგრეთვე იგეგმება უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდიის მოწყობა, ვებგვერდზე უკვე ატვირთულია შესაბამისი ინფორმაცია და მითითებულია ამ პროექტის მიზნებისათვის საჭირო თანხის რაოდენობა.

12.შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0705
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა გიორგი გვალიამ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნება პროგრამაში უფრო მეტად ჩაერთოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა, განსაკუთრებით სწავლების მე-3 და მე-4 კურსებზე. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის თანახმად, სწავლების მეორე წლის ბოლოსათვის სტუდენტები შეძლებენ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის მიღწევას, მათ ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამუშავებისათვის საკმარისი კომპეტენციები შეძენილი ექნებათ. საგულისხმოა, რომ პროგრამაში როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურის სახით მხოლოდ ქართულენოვანი და რიგ შემთხვევებში რუსულენოვანი წყაროებია მითითებული, ამაში ცუდი არაფერი არ არის. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დარგის უახლესი მიღწევების გაცნობა ვერც ერთ ზემოაღნიშნულ ენაზე ვერ მოხერხდება, მნიშვნელოვანია, რომ მინიმუმ მე-3 და მე-4 კურსებზე მაინც დაემატოს პროგრამას ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
- სასურველი იქნება დაწესებულებამ მეტი რესურსი ჩადოს საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მიმართულებით. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი/სავალდებულო ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების არსებობა. სასურველი იქნება დაწესებულებამ სამომავლოდ მეტი ყურადღება დაუთმოს საბიბლიოთეკო რესურსების შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა უფრო დიდ სივრცეში განთავსდეს . მეტი რესურსი ჩაიდოს წიგნადი ფონდის გაძლიერებისა და სასწავლო პროცესის ხელშემწყობი სხვა ელექტრონული რესურსების (სამეცნიერო ჟურნალების ბაზები და ა.შ.) შეძენის მიმართულებით.
- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, სასურველი იქნება, რომ პროგრამას გაეთვალისწინებინა შესავალი კურსი კვლევის მეთოდებში. მსგავსი კურსი ხელს შეუწყობს სტუდენტებში ზოგადი კვლევითი უნარების განვითარებას, ასევე მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებაშიც.
- სასურველი იქნება დაწესებულებამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებს .

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აბსოლუტურად იზიარებენ ექსპერტის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. აღნიშნული პროგრამა დაწესებულებისათვის ახალი მიმართულების პროგრამა გახლდათ, რომელიც ითვალისწინებდა ინგლისური ენის B2 დონეზე შესწავლას და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ გ დამატებით დამხმარე ლიტერატურად ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების წარმოდგენას. აგრეთვე, რეკომენდაციის მიხედვით, საბიბლიოთეკო რესურსი სამომავლოდ აუცილებლად იქნებოდა გაუმჯობესებული. უნივერსიტეტი ახალ სასწავლო კორპუსს აშენებდა, სადაც ბიბლიოთეკა სივრცის თვალსაზრისითაც უფრო დაიხვეწება და წიგნადი ფონდიც გაიზრდება. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა პროგრამაში შესავალი კურსის სახით კვლევის მეთოდების ჩადებას, უკვე გათვალისწინებულ იქნა. ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც, დაწესებულებამ მემორანდუმები უკვე სამ უნივერსიტეტთან გააფორმა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რას ითვალისწინებდა აღნიშნული მემორანდუმები. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული გახლდათ გაცვლითი პროგრამების განხორციელება, როგორც ლექტორებისათვის, აგრეთვე სტუდენტებისათვისაც. დაწესებულება გეგმავდა სტუდენტების მთელი სემესტრით ჩართვას გაცვლით პროგრამებში.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ სილაბუსების გადახედვის შედეგად ლიტერატურა ნამდვილად საჭიროებდა განახლებასა და გადახედვას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ფორმით ისწავლებოდა მასკომუნიკაციის თეორიის შესავალი საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის პირველი კურსზე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მითითებული კურსი არჩევითი კურსების ფარგლებში გახლდათ შეთავაზებული.

13.შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1109
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა გიორგი გვალიამ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნება საბაკალავრო პროგრამას დაემატოს საგანი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს კვლევის მეთოდებს საჯარო მართვის/პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში, რაც მათ შემდგომ (მაღალ კურსზე) გაუადვილებს პოლიტიკური თუ ეკონომიკური სახის პრობლემის ანალიზს.
- ,,კვლევის მეთოდების" ცალკე საგნად შემოტანის პარალელურად, სასურველი იქნება საგანი ,,მათემატიკური სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში" სპეციალობის სავალდებულო საგნების ბლოკიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსების ბლოკში. ,,კვლევის მეთოდები" სტუდენტს მისცემს იმ ცოდნას, რომელიც აუცილებელია ყველა კურსდამთავრებულისათვის, ,,მათემატიკური სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში" კი დააინტერესებს მათ, ვისაც სურვილი ექნება კიდევ უფრო გაიღრმავოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით.
- სასურველი იქნება სილაბუსებში მიეთითოს თითოეული თემისათვის სავალდებულო ლიტერატურის გვერდები. ბაკალავრიატის საფეხურზე, განსაკუთრებით პირველ-მეორე კურსებზე, აღნიშნული მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტს მასალის დაძლევაში.
- საჭიროა დამატებითი ლიტერატურის კიდევ უფრო განვრცობა და გამდიდრება ინგლისურენოვანი ლიტერატურის ხარჯზე. აღნიშნული არ ეხება პროგრამის ყველა საგანს, მაგრამ იქ, სადაც დამატებითი ლიტერატურის სახით წარმოდგენილია მხოლოდ ქართულენოვანი და რუსულენოვანი წყაროები, საჭიროა ინგლისურენოვანი ლიტერატურის ჩართვა, მით უმეტეს. რომ პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის შესწავლას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნის გადაადგილებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა. ხოლო გვერდების მითითების მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება სტუდენტებმა თავიდანვე ისწავლონ კითხვა და მასალის მოძიება. გვერდები ზოგადად არ იყო მითითებული, გარდა რამდენიმე საგნისა. წარმომადგენლის თქმით, შესაძლებელია გადაიხედოს მითითებული რეკომენდაცია, თუმცა სასურველია, კვლევის უნარების გამომუშავების მიზნით სტუდენტს ჰქონდეს მასალის მოძიების თავისუფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასევე გათვალისწინებული იქნება პროგრამის უცხოენოვანი ლიტერატურით გამდიდრების რეკომენდაციაც - დაწესებულება

მიესალმება ამას და დიდი მონდომებით იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე. პროგრამის მესამე და მეოთხე კურსებზე ისედაც იყო გათვალისწინებული უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურა და, ასევე, პროგრამის მიხედვით, თუკი მითითებული კურსის ბაკალავრები დაძლევენ ინგლისურ ენას შესაბამის დონეს, შესაძლებელია მათი პოლონეთის უნივერსიტეტში მთელი სემესტრით გაშვება.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ ჰქონდა დაწესებულებას საკონსულტაციო საათები სტუდენტებთან, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკონსულტაციო საათები გათვალისწინებული იყო. ასევე, დაწესებულებას ჰქონდა საგამოცდო ცენტრი, მაგრამ ამ ეტაპზე არ იყენებდნენ, ვინაიდან სისტემა ახალი დანერგილი იყო და მისი შემდგომი დახვეწის მიზნით მუშაობა მიმდინარეობდა.

სხდომის თავმჯდომარემ წარმომადგენელს დაუსვა შეკითხვა, თუ ჰქონდა დაწესებულებას ელექტრონულ ბაზებზე წვდომა და როგორ იგეგემებოდა სტაჟირება, ვინაიდან საჯარო მმართველებისათვის, თუნდაც ბაკალავრებისათვის, მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ ურთიერთობა ჰქონოდათ საჯარო სტრუქტურებთან. წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს წვდომა ელექტრონულ ბაზებთან, კერძოდ, შეუზღუდავი წვდომა უცხოურ ვებგვერდებზე და, შესაბამისად, კონსულტაციებიც ხორციელდებოდა ბაზებთან დაკავშირებით. ხოლოლ რაც შეეხება პრაქტიკას, გაფორმებულია მემორანდუმი ქ. თბილისის მერიასთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფას და ასევე, არსებობს შეთანხმება ხაშურის მუნიციპალიტეტთან. სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან მერვე სემესტრიდან.

16:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (ამასთან, ცენტრს ეთხოვოს მომავალში შეამოწმოს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა , განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის შენარჩუნებისა და მათ მიერ შესაბამისი საკონტაქტო საათების შესრულების კუთხით.) (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სფეროს ხელმძღვანელობისა და მართვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (ამასთან, ცენტრს ეთხოვოს მომავალში შეამოწმოს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა) (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია, ამასთან, ცენტრს ეთხოვოს მომავალში შეამოწმოს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა) (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:25 საათზე, საბჭო დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაია მიქაშავიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე